ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: დავით კუპატაძე
წევრი:
სოფიკო დეკანოსიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 429322985

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2018 წლის 12 ნოემბრის N 1019 ბრძანებით (რომელშიც ცვლილება შევიდა 14.11.2018 N 1027 ბრძანებით) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - დავით კუპატაძე, ჯგუფის წევრი - სოფიკო დეკანოსიძე) დაევალა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის N 17 სხდომის ოქმის საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული ხარვეზების აღმოფხვრის შემოწმება (არაგეგმიური მონიტორინგი) ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში.

დაწესებულებაში, ქ. გუდაურში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 15 და 16 ნოემბერს და წარიმართა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად. აღნიშნული დღის წესრიგი, ვიზიტის ბრძანებასთან ერთად, წარედგინა დაწესებულებას ვიზიტის დაწყების წინ. ვიზიტის პერიოდში შემოწმდა ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მიერ ხარვეზების აღმოსაფხვრელად განხორციელებული ქმედებები. დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერთა ჯგუფს აგრეთვე წარუდგინა წინა ვიზიტის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები, რაც აგრეთვე შეისწავლილ იქნა ექსპერთა ჯგუფის მიერ.

ქვესტანდარტი 1.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ა) **წინა დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს**
პროგრამას არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რადგან არ არის დაცული ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მოდულების მოთხოვნები - წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით დარღვეულია 4 მოდულის წინაპირობა.	დაწესებულებამ უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (#04/74 31.08.2018) გააუქმა წინა (#04/66 12.04.2018) ბრძანებით დამტკიცებული „სამთო გამყოლის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და ამავე ბრძანებით დაამტკიცა ახალი „სამთო გამყოლის“ საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები და სასწავლო გეგმა. ახალ პროგრამაში შევიდა ცვლილება და მას აქვს თანდართული სტრუქტურა, რომელშიც დაცულია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მოდულების მოთხოვნები. ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით მოთხოვნები მოდულის დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით გამოსწორებულია. სასწავლო გეგმაში აისახა პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. მოდულებში პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა მოყვანილია მოდულური პროგრამებისათვის დადგენილ სისტემასთან თანხვედრაში.

1.1 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018

ქვესტანდარტი 2.3 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი გ) **წინა დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს**
ბიბლიოთეკაში არ არის განთავსებული მოდული - ქართული ენა B1, A2 და უცხოური ენის (ინგლისური) ლიტერატურა, ხოლო განთავსებული სასწავლო რესურსები არ ემთხვევა მოდულებში მითითებულ დასახელებებს (კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი).	დაწესებულებამ წარმოადგინა მოდული - ქართული ენა B1, A2 და უცხოური ენის (ინგლისური) ელექტრონული ლიტერატურა (ჩაწერილი როგორც ბიბლიოთეკის კომპიუტერებში, ასევე CD დისკებზე). CD დისკები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და გატარებულია სახელმძღვანელოების აღრიცხვის ჟურნალში. ელექტრონული სახელმძღვანელოები შესაბამისობაშია მოდულებში მითითებულ ლიტერატურასთან. ბიბლიოთეკაში განთავსებული ყველა სასწავლო რესურსი ემთხვევა მოდულებში მითითებულ დასახელებებს. სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდის (www.ats.ge) ბმულზე www.dropbox.com.

2.3 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა

ქვესტანდარტი 2.5 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ე) **წინა დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს**
2016 წლის 21 ნოემბრიდან არ არის ნაწარმოები ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი (კოლეჯის საქმისწარმოების წესის მე-4 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტები). მეორდება კალენდარული წლის განმავლობაში გაფორმებული დოკუმენტების რიგითი ნომრები და წლიდან წლამდე გაგრძელებულია (კოლეჯის საქმისწარმოების წესის მე-5 და მე-9 მუხლები). ასევე არ არის ნაწარმოები შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი (კოლეჯის საქმისწარმოების წესის მე-6 მუხლი).	დაწესებულებამ წარმოადგინა როგორც ბრძანებების სარეგისტრაციო, ასევე შემოსული და გასული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის მოქმედი ჟურნალები. დოკუმენტების აღრიცხვა ხდება შესაბამისად მოწესრიგებულ სარეგისტრაციო ჟურნალებში, რომელიც ექსპერტებს წარედგინათ დანომრილი, ბეჭედდასმული და აკინძული სახით.

2.5 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018

ქვესტანდარტი 2.6 (3) ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) **წინა დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს**
სამედიცინო ოთახში არ არის განთავსებული პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები (კოლეჯის სამედიცინო დახმარების წესის მე-2 მუხლის 1-ლი, მე-3). ასევე მედდის საკონტაქტო ნომერი არ არის გამოკრული მითითებულ ადგილებში (კოლეჯის სამედიცინო დახმარების წესის მე-2 მუხლის მე-4).	სამედიცინო ოთახში არის განთავსებული პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. კოლეჯის სამედიცინო დახმარების წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნით, მითითებულ ადგილებში გამოკრულია მედდის საკონტაქტო ნომერი.

2.6 (3) ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა

ქვესტანდარტი 2.8 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი თ) **წინა დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს**
კოლეჯის ვებგვერდზე არასრულად არის განთავსებული დაწესებულების სტრუქტურა, პერსონალი და არ ხდება ინფორმაციის რეგულარულად განახლება.	კოლეჯის ვებგვერდზე (www.ats.ge) განთავსებულია დაწესებულების მოქმედი სტრუქრტურა. ვებგვერდზე სრულად არის ასახული დაწესებულების ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლების შესახებ ინფორმაცია. ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარურად.

2.8 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა.

ქვესტანდარტი 2.9 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ი) **წინა დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს**
დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა.	დაწესებულებას დირექტორის (#04/76 7.09.2018) ბრძანებით შემუშავებული აქვს მიმდინარე წლის (2018-2019 წ.წ) სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია ახალ შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმასთან (2018-24 წ.წ.), დაწესებულების მისიასთან და ხედვასთან. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მიზნის მიღწევის ინდიკატორები და აქტივობების შესრულების ვადები წარმოდგენილია დროითი გრაფიკის მიხედვით (ე.წ. Timeline).

2.9 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018

ქვესტანდარტი 3.2 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8 / პუნქტი ბ) **წინა დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს**
შესაბამისი კვალიფიკაცია პირადი საქმით არ უდასტურდება ქართული ენის მოდულების განმახორციელებელს.	შესაბამისი კვალიფიკაცია პირადი საქმით (განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები) უდასტურდება ქართული ენის მოდულების განმახორციელებელს.

3.2 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა.

ქვესტანდარტი 3.3 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8 / პუნქტი გ) **წინა დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს**
უცხოური ენის მოდულის განმახორციელებელთან გაფორმებული ხელშეკრულება შრომითი ურთიერთობის შესახებ არ პასუხობს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.	დაწესებულებამ უცხოური ენის მოდულის განმახორციელებელთან გააუქმა შრომითი ხელშეკრულება და გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება

3.3 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა.

დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ვიზიტისას დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასახული შემდეგი რეკომენდაციები:

- წინა ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ შეიმუშავა მისია, ხედვა და ღირებულებები დადგენილი swot ანალიზის მიხედვით.
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (#04/74 31.08.2018) გაუქმდა წინა (#04/66 12.04.2018) ბრძანებით დამტკიცებული „სამთო გამყოლის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და ამავე ბრძანებით დამტკიცდა ახალი „სამთო გამყოლის“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც აისახა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები:
    - გამოსწორდა დაშვებული ტექნიკური შეცდომები;
    - გასწორდა პროგრამის კრედიტები;
    - კვირეული დატვირთვა აისახა სასწავლო გეგმაში;
    - მოდულებიდან ამოღებულია 100 ბალიანი სისტემა და განმსაზღვრელი შეფასების სიტემა (დადასტურდა/არ დადასტურდა) მოყვანილია მოდულური პროგრამებისათვის დადგენილ სისტემასთან თანხვედრაში.
- დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ექსპერტების რეკომენდაცია და ახალ კატალოგში ჩანს მისი შემუშავების/მოქმედების წელი, მასში მოცემულია პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა და მიმდინარე წლის აკადემიური კალენდარი. კატალოგი გამდიდრებულია კოლეჯის რეალური ცხოვრების ფოტომასალით.
- პროგრამასთან ერთად დამტკიცებულ მატერიალურ რესურსის დანართში და მოდულებში გაიმიჯნა კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსისა და პრერეკვიზიტის სახით პროფესიული სტუდენტის აღჭურვილობის ჩამონათვალი. ასეთი სახით გამიჯვნა, იძლევა საშუალებას დაწესებულების ბალანსზე არსებული აღჭურვილობის აღრიცხვის მარტივ შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018

- ვებგვერდთან (www.ats.ge) დაკავშირებული რეკომენდაციების ნაწილი (რეგულარული განახლება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკის დებულება, ფოტომასალა და სხვ.) გათვალისწინებულია. ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ უახლოეს მომავალში არსებული ვებგვერდი ჩანაცვლდება უფრო სრულყოფილი და მრავალფეროვანი ახალი ვებგვერდით, რომელზედაც პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა.
- დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა განახორციელა რეალური SWOT ანალიზის საფუძველზე.
- ექსპერტების რეკომენდაციის გათვალისწინებით დაწესებულებამ მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები გააუქმა და ყველა მათგანთან გააფორმა ახალი მომსახურების ხელშეკრულებები.

რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი"-ს პროექტში, რომელსაც დამფუძნებელთა საერთო კრება (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, შპს მთის კურორტების განვითარების კომპანია, ა(ა)იპ საქართველოს სამთო დამყოლთა ასოციაცია) დაამტკიცებს ახალი სტრუქტურის დამტკიცების შემდეგ. დაწესებულებას ახალი სტრუქტურა დასამტკიცებლად გაგზავნილი აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, რომლის დამტკიცებასაც ელოდება უახლოეს მომავალში.

III. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (1 გვ.)

03.12.18
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018